ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0125121829**
თარიღი: **01/05/2025**

ადრესატი: დიმიტრი მარგალიტაშვილი
პირადი ნომერი: 01019019043
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზესტაფონის ქუჩა, N 18, კორპუსი 3, ბინა 21

ბატონო დიმიტრი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.04.2025 წლის №0125112912-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთების (ს/კ: №01.11.04.027.062; №01.11.04.027.060) გაერთიანებასთან, ასევე საკადასტრო კოდით №01.11.04.027.062 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთ(ებ)ის მიზნობრივი დანიშნულების (სასოფლო-სამეურნეო/ არასასოფლო-სამეურნეო) ცვლილების საკითხი/აღნიშნულ საკითხზე პოზიციის დაფიქსირება არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კომპეტენციას.

რაც შეეხება დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გაერთიანების თაობაზე სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა ელექტრონული განაცხადი ატვირთოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე: https://letter.ms.gov.ge/ შესაბამისი ნომენკლატურით - „სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, „სამსახურის პოზიცია ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების, მისასვლელი გზისა და შეძენა ან/და იჯარის შესახებ“, შემდეგ **„სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების შესახებ“** და წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

აქვე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დადგენა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მსჯელობის საგანს, საჭიროა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართოთ არქიტექტურის სამსახურს.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

08 მაი 2025

გადაწყვეტილება # 882025486042-03 (08.05.2025)

სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ

განცხადების ნომერი: **882025486042** განცხადების მიღების თარიღი: **02.05.2025 13:50**

დაინტერესებული პირი: **შპს მომავლის სახლი (204460298)**

წარმომადგენელი: **ელგუჯა კახნიაშვილი (01025012980)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 19, 01.11.04.027.062**

მომსახურების სახე: **მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული მიწის ნაკვეთზე გაცემული სამშენებლოდ გამოყენების პირობები.(გაპი), სრული საპროექტო დოკუმენტაცია და ფინანსური რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტი (ინფორმაცია ბანკიდან ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ).
3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტეერსებული პირის მიერ არაა წარმოდგენილი რომ შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული მიწის ნაკვეთზე გაცემული სამშენებლოდ გამოყენების პირობები.(გაპი), სრული საპროექტო დოკუმენტაცია და ფინანსური რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტი (ინფორმაცია ბანკიდან ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ) .

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.
